საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-229

28/12/2017 ქ. თბილისი

## სს „RMG Copper"-სთვის სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის სიონის სატყეო უბნის კაზრეთის სატყეოში მდებარე 325 646 კვ.მ. მიწის ფართობზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ

„საქართველოს ტყის კოდექსის" 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის 27[1] მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და ,,სს „RMG Copper"-სთვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 დეკემბრის N2600 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, სს „RMG Copper"-ს (ს/კ: 225358341) (შემდგომში - ტყითმოსარგებლე) სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის სიონის სატყეო უბნის კაზრეთის სატყეოს კვ.N13-ის ლიტ.N44, 45; კვ.N14-ის ლიტ. N8, 10, 11, 12, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 25 და კვ.N23-ის ლიტ. N2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 და 13-ში მდებარე 325 646 კვ.მ. (ს/კ: 80.13.67.041; 80.13.67.044; 80.13.67.045; 80.13.67.046; 80.13.67.047; 80.13.67.049; 80.13.67.050; 80.13.67.051; 80.13.67.052)

მიწის ფართობი, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში, ხე-მცენარეების ჭრის უფლებით, გადაეცეს 2041 წლის 16 აპრილამდე.

2. „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის (შემდგომში - წესი) $27^{6}$ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ტყითმოსარგებლემ სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სამუშაოების დასრულებისთანავე აღნიშნული ტერიტორიები, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გადასცეს სააგენტოს.

3. ტყითმოსარგებლემ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა უზრუნველყოს წესის $27^{7}$ მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

4. სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა № 7).

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-829

12/10/2018 ქ. თბილისი

### სს „RMG Copper-ისთვის" სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის 186051 კვ. მ მიწის ფართობზე სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ

„საქართველოს ტყის კოდექსის" 52-ე მუხლის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „დ" ქვეპუნქტის, $27^2$ მუხლის მე-3 პუნქტისა და „სს „RMG Copper-ისთვის" სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულების სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ოქტომბრის N1906 განკარგულების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების, გზების გაყვანისა და საბურღი მოედნების მოწყობის მიზნით, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, სიონის სატყეო უბნის კაზრეთის სატყეოს N14 კვარტლის N15; N16; N18 ლიტერებში და N23 კვარტლის N2; N3; N4; N5; N6; N7; N8; N9; N10; N11; N12 ლიტერებში მდებარე 186051 კვ. მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: N80.13.67.063; N80.13.67.064; N80.13.67.065) მიწის ფართობით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლება (ხე-მცენარეების ჭრის უფლებით), 2041 წლის 16 აპრილამდე, მიენიჭოს სს „RMG Copper-ს" (ს/კ: 225358341) (შემდგომში - ტყითმოსარგებლე).

2 „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის (შემდგომში - ტყითსარგებლობის წესი) $27^6$ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ტყითმოსარგებლემ სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობაში

გადაცემული ტერიტორიები, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გადასცეს სააგენტოს.

3. ტყითმოსარგებლე ვალდებულია, ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე, სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურთან გააფორმოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

4. ტყითმოსარგებლე ვალდებულია, ,,ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, დაასაწყობოს სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს სააგენტოს მიღება-ჩაბარების აქტით.

5. ტყითმოსარგებლემ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ,,ტყითსარგებლობის წესის” $27^7$ მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

6. სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ.N7)

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-834

12/10/2018 **ქ. თბილისი**

**სს „RMG Copper-ისთვის" სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის 690600 კვ. მ მიწის ფართობზე სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ**

,,საქართველოს ტყის კოდექსის" 52-ე მუხლის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის $27^{1}$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" და „დ" ქვეპუნქტის, $27^{2}$ მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,სს „RMG Copper-ისთვის" სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულების სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მტავრობის 2018 წლის 9 ოქტომბრის N1911 განკარგულების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების, გზების გაყვანისა და საბურღი მოედნების მოწყობის მიზნით, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, სიონის სატყეო უბნის კაზრეთის სატყეოს ტერიტორიაზე მდებარე **690600** კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ: N80.14.65.312; N80.13.67.067; N80.13.67.068; N80.13.67.072; N80.13.67.071; N80.13.67.066; N80.13.67.069; N80.13.67.070) მიწის ფართობით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლება (ხე-მცენარეების ჭრის უფლებით), 2041 წლის 16 აპრილამდე, მიენიჭოს სს „RMG Copper-ს" (ს/კ: 225358341) (შემდგომში - ტყითმოსარგებლე).

2 „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის (შემდგომში - ტყითსარგებლობის წესი) $27^{6}$ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ტყითმოსარგებლემ სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობაში

გადაცემული ტერიტორიები, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გადასცეს სააგენტოს.

3. ტყითმოსარგებლე ვალდებულია, ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე, სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურთან გააფორმოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

4. ტყითმოსარგებლე ვალდებულია, „ტყითსარგებლობის წესის" მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, დაასაწყობოს სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს სააგენტოს მიღება-ჩაბარების აქტით.

5. ტყითმოსარგებლემ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს „ტყითსარგებლობის წესის" $27^{7}$ მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

6. სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ.N7)

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-860

24/10/2018 ქ. თბილისი

### სს „RMG Copper-ისთვის“ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის 85070 კვ. მ მიწის ფართობზე მინიჭებული სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების ვადის გაგრძელების თაობაზე

„საქართველოს ტყის კოდექსის“ 52-ე მუხლის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, $27^2$ მუხლის მე-3 პუნქტისა და „სს „RMG copper“-ისთვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 ოქტომბრის N1910 განკარგულების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, სიონის სატყეო უბნის კაზრეთის სატყეოს კვარტალ N13-ის ლიტ: NN8,9,11,12,13,14,15,31,34,39,42,43,47 სულ - **85070** კვ.მ მიწის ფართობზე (ს/კ:N80.13.67.038; N80.13.67.040; N80.14.65.179; N80.14.65.180; N80.14.65.262; N80.14.65.263; N80.14.65.264; N80.14.65.265; N80.14.65.266; N80.14.65.267; N80.14.65.268; N80.14.65.271; N80.14.65.278) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს უფროსის 2017 წლის 04 ოქტომბრის N799/ს ბრძანებით 11 თვით მინიჭებული სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის (ხე-ტყის ჭრის უფლებით) ვადა სს „RMG copper“-ს (ს/კ:225358341) (შემდგომში - ტყითმოსარგებლე) გაუგრძელდეს 20 წლით.

2 „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის (შემდგომში - ტყითსარგებლობის წესი) $27^6$ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ტყითმოსარგებლემ სპეციალური დანიშნულებით

ტყითსარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობაში გადაცემული ტერიტორიები, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გადასცეს სააგენტოს.

3. ტყითმოსარგებლე ვალდებულია, ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე, სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურთან გააფორმოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

4. ტყითმოსარგებლე ვალდებულია, „ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, დაასაწყობოს სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს სააგენტოს მიღება-ჩაბარების აქტით.

5. სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ.N7)

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
## საჯარო სამართლის იურიდიული პირი
## ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 746/ს

02/06/2020

746-11-4-202006021156

### სს „RMG Copper "-ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში 54330 კვ.მ მიწის ფართობზე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

„საქართველოს ტყის კოდექსის" 52-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტყითსარგებლობის წესი"-ს $27^2$ მუხლის მე-2 პუნქტის, $27^3$ მუხლის $3^1$ პუნქტის, $27^7$ მუხლის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 მაისის N843 განკარგულების და ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 29/05/2020წ. N7042 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**1.**სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეოს N46 კვარტლის NN3;7;8 ლიტერებში, 54330 კვ.მ მიწის ფართობზე (ს/კ N80.14.65.276), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1005456 ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების სამუშაოების განხორციელების მიზნით, ხე-ტყის ჭრის უფლების გარეშე, სს ,,RMG Copper"-ს (ს/კ: 225358341) მიენიჭოს, მიწის სამუშაოების განხორციელების უფლება 20 წლის ვადით.

**2.**ტყითმოსარგებლე ვალდებულია ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე ქვემო ქართლის სატყეო სამსახურთან გააფორმოს, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

**3.**ტყითმოსარგებლემ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N242 დადგენილების $27^7$ მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

**4.**სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

**5.**ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

**6.**ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ ნიკოლეიშვილი

საagენტოს უფროსი

02.06.2020 წ

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

**ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 789/ს

08/06/2021 789-11-4-202106081724

**სს „RMG Copper"- ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 323435 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ბ";"დ"; „ზ" ქვეპუნქტების, 62-ე მუხლის 4;5;6 პუნქტების, 77-ე მუხლის, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 04/06/2021წ. N 6906 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის ტერიტორიაზე (იხ. ცხრილი N1), 323435 კვ.მ. მიწის ფართობზე (NN 80.14.65.373; 80.14.65.365; 80.13.67.113; 80.14.65.364; 80.13.67.112; 80.14.65.372; 80.13.67.114; 80.13.67.117; 80.14.65.370; 80.13.67.110; 80.14.65.366; 80.14.65.363; 80.14.65.374; 80.14.65.368; 80.13.67.111; 80.13.67.116; 80.14.65.371; 80.14.65.367; 80.14.65.375; 80.14.65.369; 80.13.67.115) სასარგებლო

წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებით (ლიც.N1005456), ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების მშენებლობის ან ამისთვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების განხორციელების მიზნით, სს „RMG Copper"-ს (ს/ნ: 225 358 341 შემდგომში - ტყითმოსარგებლე) მიწის სამუშაოების და 532.57 კვ.მ. სხვადასხვა სახეობის ხე-ტყის სპეციალური სარგებლობის ჭრების ნებართვით მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება 20 (ოცი) წლის ვადით.

2. სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მიწის ფართობზე, სამუშაოების დაწყებამდე, ტყითმოსარგებლეს გაუფორმოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების ხელშეკრულება და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

3. N221 დადგენილების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ტყითმოსარგებლემ ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულება (განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება) დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

4. ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N221 დადგენილების 77-ე მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

5. N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 66-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ტყის მართვის ორგანოს მიერ, სპეციალური სარგებლობის ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის ჭრის ადგილზე დახარისხების შემთხვევაში, ტყითმოსარგებლე ვალდებულია განახორციელოს სამასალე მერქნული რესურსის დაუკოტრავი სახით,

ხოლო საშეშე მერქნული რესურსის – დაკოტრილი სახით ტრანსპორტირება და სახეობების მიხედვით დასაწყობება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს ამავე სამსახურს მიღება ჩაბარების აქტით. მერქნული რესურსის ტრანსპორტირება და დასაწყობება განახორციელოს ფაქტობრივად ჩატარებული ჭრების მიხედვით, ეტაპობრივად, ათი დღის ვადაში.

6. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ ნიკოლეიშვილი

საააგენტოს უფროსი

ცხრილი **N1**

| სატყეო უბანი | სატყეო | ფართობი კვ.მ (საკადასტროს) | კვარტალი | ლიტერი | ფართობი კვ.მ (აზრისი) |
|---|---|---|---|---|---|
| ბოლნისი-დმანისი | კაზრეთი | 16084 | 13 | 44 | 1794 |
| | | | 14 | 8, 10, 11, 12, 14, 15, 16, 17, 20, 21 | 53940 |
| | | 80.13.67.042-ის გამიჯვნა 12730 | 14 | | |
| | | 26920 | 14 | | |
| | | 1274 | 14 | 15,16 | 1274 |
| | | 91169 | 14 | 16,18 | 28179 |
| | | | 23 | 1,2,3,4,5,6,7,8,9,10 | 62990 |
| | | 1456 | 23 | ყ.ს.ტ | 1456 |
| | | 1735 | 23 | ყ.ს.ტ | 1735 |
| | | 6694 | 23 | ყ.ს.ტ | 6694 |
| | | 9388 | 25 | 18 | 5760 |
| | | | 37 | 1,2,4 | 3628 |
| | | 797 | 37 | 1 | 797 |
| | | 1355 | 37 | 17 | 1355 |
| | | 1725 | 37 | 18 | 1725 |
| | | 4882 | 37 | 17,20 | 4882 |
| | | 10948 | 37 | 16,19,20 | 10948 |
| | | 11179 | 37 | 1,3,4 | 11179 |
| | | 61548 | 37 | 4,9,10,11,14,15,16,17 | 61548 |
| | | 26245 | 37 | 15 | 10668 |
| | | | 46 | 1 | 15577 |
| | | 4534 | 46 | 1 | 4534 |
| | | 4815 | 38 | 9,10 | 4815 |
| | | 13586 | 38 | 4,7 | 13586 |
| | | 14371 | 38 | 7,8,9 | 14371 |
| | | **სულ; 323435** | | | **323435** |

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1102/ს

09/07/2021 1102-11-4-202107091130

**სს „RMG Copper"- ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 5491 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნტის, 62-ე მუხლის 4;5;6 პუნქტების, 77-ე მუხლის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 07/07/2021წ. N 9590 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის ტერიტორიაზე (იხ. ცხრილი N1), სახელმწიფო ტყის 5491 კვ.მ. მიწის ფართობზე (ს/კ: N80.13.67.119), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1005456 ლიცენზიასთან დაკავშირებული სამუშაოების, კერძოდ: არსებული მისასვლელი - დამხმარე გზების რეაბილიტაციისა და ახალი გზების მშენებლობის ან ამისთვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშოების განხორციელების მიზნით, სს „RMG Copper"-ს (ს/ნ: 225 358 341 შემდგომში - ტყითმოსარგებლე), ხე-ტყის ჭრის ნებართვის გარეშე, 10 წლის ვადით, მიენიჭოს მიწის სამუშაოების და განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

2. სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მიწის ფართობზე, სამუშაოების დაწყებამდე, ტყითმოსარგებლეს გაუფორმოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების ხელშეკრულება და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

3. N221 დადგენილების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

4. ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N221 დადგენილების 77-ე მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

5. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ ნიკოლეიშვილი

სააგენტოს უფროსი

ცხრილი N1

| სს "RMG Copper"-ის მიერ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისათვის წარმოდგენილი ფართობების დამისამართების ნუსხა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **#** | **სატყეო უბანი** | **სატყეო** | **კვარტალი N** | **ლიტერი N** | **ფართობი კვ.მ** |
| 1 | ბოლნისი-დმანისი | კაზრეთი | 39 | 19 | 4330 |
| 2 | | | 46 | 11 | 1161 |
| **სულ** | | | | | **5491** |

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**
**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
**ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1291/ს

29/07/2020

1291-11-4-202007291758

## სს "RMG Copper"-ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში სახელმწიფო ტყის ფონდის 310708 კვ.მ მიწის ფართობზე მიწის სამუშაოების განხორციელების უფლების ვადის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ტყის კოდექსის" 52-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი" -ს $27^{1}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, $27^{2}$ მუხლის მე-2 პუნქტის, $27^{3}$ მუხლის $3^{1}$ პუნქტის, $27^{7}$ მუხლის, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 ივლისის N1210 განკარგულების და ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 22/07/2020წ. N11470 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის ტერიტორიაზე (იხ. ცხრილი N1), 310708კვ.მ მიწის ფართობზე (ს/კ NN80.13.67.103; 80.13.67.104; 80.13.67.106; 80.14.65.335; 80.14.65.336; 80.14.65.337; 80.14.65.339), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1005456 და N1005314 ლიცენზიებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით, ხე-ტყის ჭრის უფლების გარეშე, სს "RMG Copper"-ს (ს/კ:225 358 341 შემდგომში - ტყითმოსარგებლე), მიწის სამუშაოების განხორციელების ვადა განესაზღვროს 20 (ოცი) წლით.
2.ტყითმოსარგებლე ვალდებულია ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე ქვემო ქართლის სატყეო სამსახურთან გააფორმოს, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

3.საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს $27^{6}$ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ტყითმოსარგებლემ სამუშაოების დაწყებამდე, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სამუშაოების დასრულებისთანავე აღნიშნული ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

4.ტყითმოსარგებლემ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N242 დადგენილების $27^{7}$ მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

5.სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

7.ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ ნიკოლეიშვილი

სააგენტოს უფროსი

<table>
<tr><th>N</th><th>ფართობი (კვ.მ.) shp</th><th>ლიცენზიის ნომერი</th><th>რეგისტრირებული საკადასტრო კოდები</th><th>სატყეო უბანი</th><th>სატყეო</th><th>კვარტალი</th><th>ლიტერი</th><th>შენიშვნა</th></tr>
<tr><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">115080</td><td rowspan="3">1005456</td><td rowspan="3">80.13.67.104</td><td rowspan="10">ბოლნისი-დმანისი</td><td rowspan="10">კაზრეთი</td><td>30</td><td>34</td><td></td></tr>
<tr><td>40</td><td>5;11;12;13;14;18;21</td><td></td></tr>
<tr><td>41</td><td>2;3</td><td></td></tr>
<tr><td>2</td><td>27385</td><td>1005456</td><td>80.14.65.339</td><td>39</td><td>2,3,4,5,7,9</td><td></td></tr>
<tr><td>3</td><td>18425</td><td>1005314<br>;1005456</td><td>80.13.67.103</td><td>46</td><td>4,7,8,9</td><td></td></tr>
<tr><td>4</td><td>9539</td><td>1005456</td><td>80.14.65.335</td><td>46</td><td>9,10,11</td><td></td></tr>
<tr><td>5</td><td>1969</td><td>1005456</td><td>80.14.65.337</td><td>46</td><td>8</td><td></td></tr>
<tr><td>6</td><td>533</td><td>1005456</td><td>80.14.65.336</td><td>39</td><td>8</td><td></td></tr>
<tr><td rowspan="2">7</td><td rowspan="2">137777</td><td rowspan="2">1005314<br>;1005456</td><td rowspan="2">80.13.67.106</td><td>39</td><td>12;13;14;15;16;17;18;19;21</td><td></td></tr>
<tr><td>46</td><td>9;10;11</td><td></td></tr>
<tr><td>სულ</td><td>310708</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2715/ს

16/12/2021 2715-11-4-202112161301

**„სს „RMG Copper"- ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში 320032 კვ.მ მიწის ფართობზე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების და სპეციალური ჭრების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ" სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2020 წლის 7 ოქტომბრის N2069/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული "ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების მე-12 მუხლის, მე-60 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის 4; 5; 6 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 14/12/2021წ. N24412 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. „სს „RMG Copper"- ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში 320032 კვ.მ მიწის ფართობზე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების და სპეციალური ჭრების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ" სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2020 წლის 7 ოქტომბრის N2069/ს ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

**ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„სს "RMG Copper"-ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 320032 კვ.მ მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ“.

**ბ) ბრძანების 1-ელი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**1**. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეოს ტერიტორიაზე (იხ. ცხრილი N1). სახელმწიფო ტყის 320032 კვ.მ. მიწის ფართობზე (ს/კ:NN80.13.67.148; 80.14.65.408; 80.13.67.147; 80.13.67.149; 80.14.65.409; 80.14.65.410), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (ლიც.N1005456; N10002084) ლიცენზიების ფარგლებში, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით, სს ,,RMG Copper"-ს (ს/კ N 225 358 341 - შემდგომში ტყითმოსარგებლე), ხე-ტყის ჭრის ნებართვის გარეშე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2020 წლის 7 ოქტომბრის N2069/ს ბრძანებით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის 11 თვიანი უფლება გაუგრძელდეს 10 წლის ვადით.“

**გ) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**2**. სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ამ ბრძანების 1-ელი პუნქტით განსაზღვრულ მიწის ფართობზე, ტყითმოსარგებლეს გაუფორმოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების ხელშეკრულება, ხოლო ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მიერ, ტყითმოსარგებლესთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში განხორციელდეს ცვლილება ამავე ბრძანების შესაბამისად.“

**დ) ბრძანებას დაემატოს მე-3[1] პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„**3**. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს“.

4. ბრძანება ძალაშია მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ ნიკოლეიშვილი

სააგენტოს უფროსი